სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება №484
(ოქმი №428)

თბილისი 2020 წლის 22 სექტემბერი

კონკურსის შესაბამისად სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ კენჭისყრის ჩატარების წესის შესახებ ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ღია კონკურსის წესით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის არჩევასთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 2013 წლის 12 სექტემბრის №263 (ოქმი №256) გადაწყვეტილებით დამტკიცებულ «კონკურსის შესაბამისად სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ კენჭისყრის ჩატარების წესის შესახებ» ინსტრუქციაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ინსტრუქციის მე-2-ლი ნაწილის 2.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2.1.1 კონკურსის I (პირველ) ტურში ტარდება ღია კენჭისყრა, რის შედეგადაც გამოვლინდება II (მეორე) ტურში გასულ კანდიდატთა ვინაობა.

2.1.2 ხმის მიცემის პროცედურა ტარდება იმ კანდიდატებზე, რომლებმაც სრულად წარმოადგინეს საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებით დადგენილი წესის შესაბამისად.

2.1.3 სამეურვეო საბჭოს წევრს შეუძლია შეუზღუდავად ხმა მისცეს ყველა მისთვის სასურველ კანდიდატს, რის შემდეგაც ხორციელდება ხმების დათვლა.

2.1.4 კონკურსის II (მეორე) ტურში გასულად ჩაითვლება ყველა ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობას."

ბ) ინსტრუქციის მე-2 ნაწილის 2.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2.2.1 კონკურსის II (მეორე) ტური მოიცავს გასაუბრების და კენჭისყრის პროცედურებს.

2.2.2 გასაუბრება არ წარმოადგენს სამეურვეო საბჭოს სხდომას.

2.2.3 გასაუბრების შემდეგ, სამეურვეო საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში ტარდება სამეურვეო საბჭოს სხდომა, სადაც გენერალური დირექტორის კანდიდატის გამოსავლენად ტარდება ღია კენჭისყრა.

2.2.4 კონკურსის II (მეორე) ტურში გენერალური დირექტორის კანდიდატი გამოვლინდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამსწრე მეურვეთა ხმათა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, მეორე ტურში გასული თითოეული კანდიდატისთვის ცალ-ცალკე.

2.2.5 სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამსწრე თითოეულ წევრს (მეურვეს) შეუძლია ხმა მისცეს მხოლოდ მეორე ტურში გასულ ერთ კანდიდატს, რის შემდეგაც ხორციელდება ხმების დათვლა.

2.2.6 თუ პირველმა ღია კენჭისყრამ ვერ გამოავლინა გამარჯვებული, მაშინ ტარდება განმეორებითი ღია კენჭისყრა.

2.2.7 განმეორებით ღია კენჭისყრაზე გადის ყველა ის კანდიდატი, რომელმაც წინა კენჭისყრის შედეგად აჩვენა 2 (ორი) ან მეტი საუკეთესო თანაბრად მაღალი შედეგი და არ მონაწილეობს სხვა დანარჩენი კანდიდატი.

2.2.8 თუ მეორე ტურის მეორე ღია კენჭისყრის შედეგად ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა 2.2.4 პუნქტით განსაზღვრული ხმების რაოდენობა, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით ღია კონკურსი ცხადდება ჩაშლილად და ცხადდება ახალი კონკურსი "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით და ვადებში."

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ირინა ფუტკარაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

გიორგი ნიჟარაძე

იზაბელა ოსიპოვა

ირაკლი პაპავა

მიხეილ ჩიკვილაძე

ზაზა აბაშიძე

გრიგოლ მურღულია

ბონდო მძინარაშვილი